

# "ოქტომბერში ჩატარდება თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები"



ირაკლი კობახიძემ „ქრონიკის“ ეთერში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებაზე ისაუბრა. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა საგანგებო მდგომარეობის დასრულებისთანავე

გაგრძელდება.

*„თითქმის დარწმუნებულები ვართ, რომ სათანადოდ მოვახერხებთ ოქტომბრის ბოლოს არჩევნების ჩატარებას და მანამდე შესრულდება ის შეთანხმება, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. როგორც კი დასრულდება საგანგებო მდგომარეობა მაშინვე ჩვენ მაქსიმალურად სწრაფ ტემპში მივიღებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელზეც შევთანხმდით და ამის შემდეგ უკვე პოლიტიკური პარტიები გადავდგენ საარჩევნო რეჟიმზე და ოქტომბერში ჩატარდება თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში“, – აღნიშნა კობახიძემ.*

ოპოზიცია და ხედისუფლება 8 მარტს 2020 წლის არჩევნების 120/30-ზე მოღვერით ჩატარებაზე შეთანხმდა. შესაბამის შეთანხმებას მხარეებმა აშშ-ის ედრის რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაზე მიაღწიეს. ამასთან, მხარეებმა ხელი მოაწერეს რეზოლუციას, რომლის თანახმადაც პოლიტიკას მართლმსაჯულებაზე გავდგენა არ უნდა ჰქონდეს.